

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო

საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 91

15 აპრილი 2025 წ.
13:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე,

კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, თამარ ჩახვაშვილი, ნინო ვარდოსანიძე, რაჯა სოსხაძე, მიხეილ კაკაურიძე, ანა გოგოლაძე, საბა ბუაძე.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური - გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-სერგო ბირკაძე, თათია ბარაქაძე

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი.

1. ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესრულების შესახებ. (საქრ.№12-0325058100-03 27/02/2025)

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.(საქრ.№15-0325510026-03 10/04/2025(№11-01251001525;

საქრ.№15-032510165-03 11/04/2025(№11-01251013728; საქრ.№15-032510429-03 14/04/2025(№11-01251041091)

3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. (საქრ.№12-032510440-03 14/04/2025)

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. (საქრ.№12-032510440-03 14/04/2025)

5. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. (საქრ.№12-032510440-03 14/04/2025)

6. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცეების შენარჩუნება-გაჯანსაღების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (მიწა) გაცვლის ფორმით პრივატიზების სპეციალური წესისა და სხვა რიგი ღონისძიებების დამტკიცების თაობაზე.(საქრ.№12-032510441-03 14/04/2025)

7. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.704) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საქრ.№12-0325087146-03 31/03/2025)

8. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010.01.021) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. (საქრ.№12-0325087146-03 31/03/2025)

9. ქალაქ თბილისში, ნუგუზიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

(საქრ.№12-03250941-03 04/04/2025); (საქრ.№12032509466-03 07/04/2025)

10. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.021) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.(საქრ.№12-032510457-03 14/04/2025)

11. „ქალაქ თბილისში, ეგრისის II შესახვევი N12-ში (საკადასტრო კოდები: N01.72.14.008.147.01.501 და N01.72.14.008.147.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.(საქრ.№12-032510457-03 14/04/2025)

12. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.004.01.1116) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.(საქრ.№12-032510457-03 14/04/2025)

13. ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქ. N3-3-ში მდებარე N55 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.055); ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N49 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.079.01.01.049) და ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N9გ-ში მდებარე N197 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.170.01.01.197) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შეთანხმების თაობაზე.(საქრ.№12-032510459-03 14/04/2025)

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საქრ.№12-032509467-03 04/04/2025)

15. ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვნების ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე (საქრ.№12-032510479-03 14/04/2025)

16. ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, მე-IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა №1-ში, მეორე სართულზე არსებული 469.73 კვ.მ ფართიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.12.002.061.01.501) 170.56 კვ.მ ფართის და ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, მე-IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა №1-ში სხვენ სართულზე არსებული 338.09 კვ.მ ფართიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.12.002.061.01.502) 176.21 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-სთვის (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 21 ნოემბრის №ბ61.01193255 და 2021 წლის 31 მაისის №ბ61.01211513 ბრძანებებზე (მათში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) თანდართული პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-ს (ს/კ: 200160636) გათავისუფლების შეთანხმების თაობაზე. (საქრ.№12-03250973-03 07/04/2025)

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საქრ.№12-032510122-03 13/04/2025)

18. ქალაქი თბილისში, ფონიჭალაში, დოღობერიძის ქუჩის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5044 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.13.022.037) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(საქრ.№12-032510121-03 11/04/2025)

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.(საქრ.№12-032509881-03 08/04/2025)

20. ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში, რკინიგზის სადგური „ველის“ მიმდებარედ არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.31.004.098) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.(საქრ.№12-03250972-03 07/04/2025)

21. ქალაქ თბილისში, ელვერ კუპატაძის I გასასვლელი N5-ში არსებული 1468 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.030.012) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (საქრ.№12-03251011-03 11/04/2025)

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (საქრ.№12-03250971-03 07/04/2025)

23. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.032.024) 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით დავით ბერულავასთვის (პ/ნ 01024022429) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. (საქრ.№12-032510459-03 14/04/2025)

24. ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა N2-ში არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.032) პირდაპირი განკარგვის წესით, მურატ მიგინეიშვილისთვის (პ/ნ: 01024070013) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. (საქრ.№12-032510459-03 14/04/2025)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ი ნ ფ რ მ ა ც ი ა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ანგარიში მომზადებული და წარმოდგენილია საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ გათვალისწინებით და მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის და მიღწეული შედეგების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონებიდან გამოყოფილი სახსრების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით მიღებული და გადარიცხული გრანტების (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი და სხვა კაპიტალური გრანტები) შესახებ. 2024 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 203 124.3 ათასი ლარი.

2024 წელს ნაშთის ცვლილების (ნაშთის გამოყენება) სახით ასახული იქნა 200 034.9 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 65 618.2 ათასი ლარი.

ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 1 877 892.3 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 989 330.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 105.9%.

სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი შემდეგნაირია:

შემოსავლები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 1 787 117.7 ათასი ლარი, ფაქტიურად 1 880 549.8 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 105.2% და მთლიანი შემოსულობების 94.5% შეადგინა. მათ შორის:

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 981 760.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (948 661.8 ათასი ლარი) 103.5%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 920 297.6 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 61 462.7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც თითქმის თანაბრად დამატებული ღირებულების გადასახადზე და ქონების გადასახადზე მოდის.

საანგარიშო პერიოდში **გრანტების** სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 518 493,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (520 982,9 ათასი ლარი) 99,5%-ია, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 437,2 ათასი ლარი (საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო

ხელშეკრულების (№6024-GEO, №4134-GEO) ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ), უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები - 0,2 ათასი ლარი, სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 518 056,0 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 444,5 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის), სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) - 500 000,0 ათასი ლარი, ხოლო სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 5 611,5 ათასი ლარი (მათ შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელების პროცესში, პროექტების (№6024-GEO, №4134-GEO) ფარგლებში კონსულტანტთა შრომის ანაზღაურების შესაბამისი ადგილობრივი გადასახადების დასაფინანსებლად და სხვა).

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 317 470,0 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 380 296,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 119,8% და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 327 909,1 ათასი ლარი) შედარებით 52 386,9 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიღებული, რაც ძირითადად რაც ძირითადად სანებართვო მოსაკრებელზე, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელზე და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებზე მოდის.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 108 774,2 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 54 560,8 ათასი ლარი (მათ შორის: საცხოვრებელი შენობები - 49 186,6 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობები - 5 218,6 ათასი ლარი, მანქანა დანადგარები და ინვენტარი - 152,6 ათასი ლარი, სხვა ძირითადი აქტივები - 3,0 ათასი ლარი), მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 138,8 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 54 074,6 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების კლებიდან საანგარიშო პერიოდში თანხები არ მიღებულია.

ვალდებულებების ზრდის სახით საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 6,5 ათასი ლარი (შემოსულობა საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებების და შემოსულობა საგარეო - აქციები და სხვა კაპიტალის სახაზინო კოდებზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულების ზრდას).

ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2 077 927,2 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 923 712,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92.6%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 569 679,8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 1 505 906,0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.9% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 78.3%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 480 117,6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 389 676,5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 81.2% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 20.3%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 28 129,8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 28 129,8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 1.5%-ია.

ანგარიშში ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ. კერძოდ: საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 5 052,0 ათასი ლარიდან გადარიცხულია 4 842,7 ათასი ლარი. მათ შორის: მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად - 3 156,2 ათასი ლარი, მოქალაქეთა ფინანსური დახმარებისათვის - 51,5 ათასი ლარი, მოქალაქეთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების (სხვადასხვა ღონისძიებები) ხარჯების ასანაზღაურებლად - 150,1 ათასი ლარი, სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისათვის სასაჩუქრე კალათების შეძენა - 48,0 ათასი ლარი, სხვადასხვა სახის ღონისძიებების განსახორციელებლად ორგანიზაციების ხელშეწყობა - 68,7 ათასი ლარი, უბედური შემთხვევის შედეგად (ხანძარი, ძლიერი ქარი, ბუნებრივი აირის აფეთქება და სხვა) დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო, დაზარალებული მოსახლეობის ქირის, სასტუმროს და სხვა ხარჯები - 1 368,2 ათასი ლარი.

2024 წელს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან შესაბამისი სამართლებრივი აქტებით გამოიყო 1 542,8 ათასი ლარი და გამოყოფილი სახსრების ათვისებამ შეადგინა 1 542,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია. მათ შორის:

➤ სასამართლოს პროცესის ხარჯების დასაფარად, იურიდიული მომსახურების და სხვა გადახდილი თანხა - 41,2 ათასი ლარი;

➤ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება - 1 501,2 ათასი ლარი.

სესხების მომსახურება და დაფარვა სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 40 191,4 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (40 292,4 ათასი ლარი) 100%-ია. აქედან, მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების, საკომისიოს გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 12 061,7 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 28 129,8 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული **პრიორიტეტები**:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 636 739,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (673 471,8 ათასი ლარი) 94.6%-ია;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 286 647,7 ათასი ლარით, რაც გეგმის (321 625,0 ათასი ლარი) 89.1%-ია;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 289 350,7 ათასი ლარით, რაც გეგმის (313 288,2 ათასი ლარი) 92.4%-ია;

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1 810,7 ათასი ლარით, რაც გეგმის (2 284,2 ათასი ლარი) 79.3%-ია;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 50 648,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (51 083,8 ათასი ლარი) 99.2%-ია;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 168 196,6 ათასი ლარით, რაც გეგმის (169 486,2 ათასი ლარი) 99,2%-ია;

განათლება - 261 856 ათასი ლარით, რაც გეგმის (283 616,5 ათასი ლარი) 92.3%-ია;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 55 583,8 ათასი ლარით, რაც გეგმის (71 157,7 ათასი ლარი) 78.1%-ია;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 9 303,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (10 297,0 ათასი ლარი) 90.4%-ია;

ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 163 575,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (181 616,6 ათასი ლარი) 90.1%-ია.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ინფორმაციის: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესრულების შესახებ, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

მომხსენებელი-ლევან მიქავა

ლევან მიქავას განმარტებით, წარმოდგენილია მერიის საქალაქო სამსახურების და რაიონული გამგეობების მიერ მოთხოვნილი კვარტალური და წლიური ცვლილებები შესათანხმებლად.

კერძოდ:

ისნის რაიონის გამგეობა, „კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში“ (კოდი 02.09.16) ქვეპროგრამის ფარგლებში რაიონის ტერიტორიაზე არსებული უსახური ავტოფარეხების, დაზიანებული შენობა-ნაგებობების დროებითი წინმსწრები დამზღვევი ღონისძიებების, დემონტაჟისა და სხვა თანმდევი სამუშაოების, აგრეთვე არსებულ სკვერებში, სპორტულ და საბავშვო-გასართობ მოედნებზე დაზიანებული ფრაგმენტების აღდგენა-შეკეთების სამუშაოებისთვის, რაიონის ტერიტორიაზე ხეების სხვლა-ფორმირების სამუშაოებისთვის, რკინა ბეტონის საყრდენი კედლების და რკინა-ბეტონის კიბეების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების და სპორტული, საბავშვო გასართობი მოედნების, სკვერების, ატრაქციონებისა და ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურებისათვის საქონელი და მომსახურების მუხლში II კვარტალში ესაჭიროებათ - 225 600 ლარი. აგრეთვე დაჩქარებულად ხორციელდება მიხეილ აბრამიშვილის ქუჩა N37-ში მდებარე შენობის გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოები. შესაბამისად, „კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 16) მეორე კვარტალის გეგმას ემატება 435 600 ლარი, IV კვარტალის შემცირების ხარჯზე.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში“ (კოდი 05.01.14) ქვეპროგრამის ფარგლებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული წითელ

ხაზებში მოქცეული საცხოვრებელი სახლების ლითონის კიბეების, კარის, ჭიშკრის სამუშაოებისთვის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში“(პროგ/კოდი 05 01 14) მეორე კვარტლის გეგმას ემატება 100000 ლარი.

მთაწმინდის რაიონის გამგეობის პროგრამაში - „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში“(კოდი 05 01 17) 2025 წლის ექვს თვეში მოსალოდნელია ნავარაუდევზე მეტი მოცულობის სამუშაოების ჩატარება, შესაბამისად ითხოვენ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში“(პროგ/კოდი 05 01 17) მეორე კვარტლის გეგმას გაზრდას 250 000 ლარით.

ლევან მიქვას განმარტებით, თბილისის სატრანსპორტო გეგმით გათვალისწინებულ აღმოსავლეთ-დასავლეთის შეკავშირებულობის ალტერნატივების ანალიზის კვლევაში, რომელიც მსოფლიო ბანკის დახმარებით ჩატარდა, მულტიკრიტერიუმული ანალიზის საშუალებით, გამოავლინა თბილისის ცენტრში არსებული რკინიგზის ხაზის ორ მხარეს (აღმოსავლეთ და დასავლეთ) შორის ახალი კავშირის შექმნის საუკეთესო ალტერნატივა - საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრიორიტეტის მქონე საავტომობილო ხიდი, დადიანის ქუჩასა და სადგურის მოედანს შორის. სამსახურს დაევალა საავტომობილო ხიდის მშენებლობის სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა და შემდგომში მშენებლობა. ვინაიდან პროექტის საპროგნოზო ჯამური ბიუჯეტი (პროექტირება და მშენებლობა) მასშტაბურია (აღემატება 20 მლნ ლარს) მიზანშეწონილია თბილისის ბიუჯეტის 02.01 კოდი ჩაიშალოს შემდეგ ქვეპროგრამებად: 02.01 – „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების პროექტირება მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია“; 02.01.01 – „საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა რეკონსტრუქცია“; 02.01.02 – „ქ. თბილისში სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება და მშენებლობა. ამ ეტაპზე, საჭიროა განხორციელდეს ხიდის მშენებლობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ტექნიკური დოკუმენტების შედგენის შესყიდვის პროცედურა, რომლის სავარაუდო ღირებულება 2 500 000.0 ლარს შეადგენს.

თანხის დაბალანსება ხდება პროგრამების: „გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“ (პროგ/კოდი 02 05)- 2 347000 ლარით და „ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება“(პროგ/კოდი 02 02)-153 000 შემცირებით.

გარდა ამისა იზრდება „უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის“(პროგ/კოდი 10 13) წლიური ასიგნება 812 000 ლარით. შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ობიექტების დაცვის ფუნქციის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურისთვის გადმოცემასთან დაკავშირებით, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის ამადლების, სისტემური მმართველობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N8-31 დადგენილებაში ცვლილება და სამსახურს ემატება ორი განყოფილება, შესაბამისად შტატიტ განსაზღვრული თანამშრომლების რაოდენობა იზრდება 12 ერთეულით, ხოლო შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რაოდენობის ზრდა იგეგმება 46 ერთეულით.

იზრდება სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ასიგნება (პროგ/კოდი 10 21) – 1 328 404 ლარით.

კერძო საკუთრებაში არსებული გარკვეული მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობაში არსებული ფართების (შალვა დადიანის ქ. #15-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 58 კვ.მეტრი ფართი; მიხეილ ზანდუკელის ქ.#1-ში მდებარე შენობა ნაგებობაში არსებული 15,57კვ. მეტრი ფართი; ვაგან მამასახლისოვის ქ.#9-ის მიმდებარედ არსებული 21 და 15 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთები; ფონიჭალაში არსებული 1000კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი) გამოსყიდვის მიზნით; - ასევე თბილისში, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, საგზაო უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და გზის სავალი ნაწილის გაფართოების მიზნით სააგენტოსა და შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს (ს/ ნ: 204976302) შორის 2024 წლის 8 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებისა და 2024 წლის 30 დეკემბრის შეთანხმებიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას ხელშეკრულების 4.3 პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხზე, „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან (05.2025) 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება უძრავ ქონებებში არსებული ფასთა შორის სხვაობის (653 403.42 ლარის) კომპენსაციის სახით ანაზღაურების მიზნით.

იზრდება „თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება“ (პროგ/კოდი 10 25)- 1739584 ლარით.

მეორე კვარტლის გეგმა იზრდება შემდეგ ქვეპროგრამებში:

„კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადუვის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 11)-744000 ლარით.

„გზების მოვლა შეკეთება დიდუბის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 10)- 155840 ლარით.

„გზების მოვლა შეკეთება სამგორის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 15)- 291 000 ლარით.

დაბალნახება ხდება ნაშთის ცვლილებით.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური და რაიონული გამგებობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები წარმოადგინა სერგო ბირკაძემ.

მოისმინეს: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულებაში“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის №52-23 დადგენილებით განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, მათ შორის, დაზუსტდა სააგენტოს სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, მიზანშეწონილია დაზუსტდეს და საჭიროების შემთხვევაში ცვლილება შევიდეს იმ კანონქვემდებარე აქტებში, რომლითაც სააგენტო ხელმძღვანელობს თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას. მათ შორისაა, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილება.

აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ ქონების მიმღები ინფორმაციას ადასტურებს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული პირის/პირების მიერ გაცემული დასკვნით.

ვინაიდან, დასახელებულ ნორმაში მითითებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-86 დადგენილება ძალადაკარგულად გამოცხადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის №43-54 დადგენილებით, დღის წესრიგში დადგა №19-78 დადგენილების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შინაარსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროება. შესაბამისად, პროექტით ცვლილება შედის წესის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტში და და განისაზღვრება შემდეგნაირად: „საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ ქონების მიმღები ინფორმაციას ადასტურებს, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის

შესაბამისად, ქონების შემძენსა და სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მომზადებული საექსპერტო/აუდიტორული დასკვნით“.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის №52-23 დადგენილებით განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, მათ შორის დაზუსტდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სტრუქტურა და მისი სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, მიზანშეწონილია დებულებაში დამატებით დაზუსტდეს ცალკეული საკითხები. კერძოდ, მითითებული დებულების თანხმად, სააგენტო როგორც ქონების მართვა განკარგავს პასუხისმგებელი ორგანიზაცია ახორციელებს აუქციონის ფორმით ქონების განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, ასევე აუქციონის მომზადება/ორგანიზებას, აუქციონის ჩატარებას და შედეგების გაფორმებას (მათ შორის, ხელშეკრულების გაფორმებას).

სერგო ბირკაძემ აღნიშნა, რომ დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების თანახმად, სააგენტო უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, აუქციონის ორგანიზებას, ჩატარებას და შედეგების გაფორმებას. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირის) ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების/რეალიზაციის ან სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, აუქციონის ორგანიზებას, ჩატარებას და შედეგების გაფორმებას.

გარდა მითითებულისა, სააგენტო ასევე უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის აუქციონის ორგანიზებას, ჩატარებას და შედეგების გაფორმებას. შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებებით სააგენტოს ზოგად უფლებამოსილებებში გაიწერება აღნიშნული და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი შინაარსით: „დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, აუქციონის ორგანიზება, ჩატარება და შედეგების გაფორმება, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ქონებაზე აუქციონის მომზადება, ჩატარება და შედეგების გაფორმება.“

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტო აუქციონის მომზადება/ორგანიზებას, ჩატარებას და შედეგების გაფორმებას ახორციელებს მისი სტრუქტურული ერთეულების - სამსახურების, კონკრეტულად, საფინანსო და მომსახურების სამსახურისა და ქონების მართვისა და განკარგვის სამსახურის მეშვეობით. წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად, დაზუსტდება მითითებული სამსახურების ფუნქციები აუქციონების კუთხით და მიესადაგება სააგენტოში არსებულ პრაქტიკას. კერძოდ, აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, საფინანსო და მომსახურების სამმართველო უზრუნველყოფს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის კომერციული/სამეწარმეო იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებას ან/და აუქციონის ფორმით განკარგვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის პროექტების მომზადებას, აუქციონის ჩატარებას და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფას. აგრეთვე, 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების აუქციონის ფორმით განკარგვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის პროექტების მომზადებას, აუქციონის ჩატარებას და

შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფას. გარდა ამისა, მითითებული სამსახური ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების (გარდა კერძო სამართლის კომერციული/სამეწარმეო იურიდიული პირებისა) საკუთრებაში არსებულ (ბალანსზე რიცხული) ქონებაზე აუქციონის ჩატარებას და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფას.

რაც შეეხება ქონების მართვისა და განკარგვის სამსახურს, წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, ასევე ზუსტდება აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილებები და განისაზღვრება, რომ ქონების მართვისა და განკარგვის სამსახური განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით განკარგვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის პროექტების მომზადებას და აუქციონზე გამოცხადების ორგანიზებისთვის სხვა აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებას, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების, გარდა კერძო სამართლის კომერციული/სამეწარმეო იურიდიული პირებისა, საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებას ან/და აუქციონის ფორმით განკარგვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის პროექტების მომზადებას და აუქციონზე გამოცხადების ორგანიზებისთვის სხვა აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებას.

გარდა მითითებულისა, ტექნიკურად ზუსტდება ქონების მართვისა და განკარგვის სამსახურის სხვა უფლებამოსილებები.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულებაში“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის №52-23 დადგენილებით განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, მათ შორის, დაზუსტდა სააგენტოს სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, მიზანშეწონილია დაზუსტდეს და საჭიროების შემთხვევაში ცვლილება შევიდეს იმ კანონქვემდებარე აქტებში, რომლითაც სააგენტო ხელმძღვანელობს თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას. მათ შორისაა, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილება

მითითებული N21-85 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის“ მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ ქონების შემძენი ინფორმაციას ადასტურებს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული პირის/პირების მიერ გაცემული დასკვნით“.

სერგო ბირკაძემ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ ნორმაში მითითებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-86 დადგენილება ძალადაკარგულად გამოცხადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის №43-54 დადგენილებით. შესაბამისად, საჭიროა წესის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან და განისაზღვროს შემდეგნაირად: „საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ ქონების შემძენი ინფორმაციას ადასტურებს, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“

საქართველოს კანონის შესაბამისად, ქონების შემძენსა და სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მომზადებული საექსპერტო/აუდიტორული დასკვნით.“

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცეების შენარჩუნება-გაჯანსაღების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (მიწა) გაცვლის ფორმით პრივატიზების სპეციალური წესისა და სხვა რიგი ღონისძიებების დამტკიცების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (მიწა) გაცვლის ფორმით პრივატიზების სპეციალური წესი და სხვა რიგი ღონისძიებები“. წესს დანართების სახით თან ახლავს ასევე განსაზღვრული ტერიტორიები - არეალები. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა მიეცემათ ამ ტერიტორიაზე მოითხოვონ მათ საკუთრებაში არსებული ფართის გაცვლის ფორმით პრივატიზება ამავე ტერიტორიის ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართის სანაცვლოდ.

მთლიანობაში, ეს პროცესი როგორც კერძო მესაკუთრეებისათვის, ასევე მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და სასარგებლოა. ამ პროცესით, კერძო მესაკუთრეს ეძლევა შესაძლებლობა მის საკუთრებაში არსებული ტერიტორია, რომელიც შესაძლებელია იყოს სამშენებლო მიზნებისათვის გამოუყენებელი, რაც თავის მხრივ საკუთრების სრულფასოვნად გამოყენების შესაძლებლობას კარგავს, განკარგოს ისე რომ საკუთრებაში მიიღოს მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლოდ განვითარებადი მიწა, სწორი ურბანული დაგეგმარებით და ა.შ. თავის მხრივ მუნიციპალიტეტი ამ პროცესით, ხელს უწყობს დედაქალაქში რეკრეაციული სივრცეებისათვის ტერიტორიების გამოთავისუფლებას, გარდა ამისა სწორ ურბანულ განვითარებას, რაც მთლიანობაში მუნიციპალიტეტის (მოსახლეობის ჩათვლით) პრიორიტეტია.

პროექტის თანახმად, დაინტერესებული პირი, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (მიწა) გაცვლის ფორმით პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილია მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი განცხადებით და თან დაურთოს: სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლი (თუ დაინტერესებული პირი იურიდიული პირია), ყველა სხვა დოკუმენტაცია/ინფორმაცია, რასაც დაინტერესებული პირი თვლის საჭიროდ გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

პროექტის შესაბამისად, გაცვლით ფორმით პრივატიზების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

პროექტით განისაზღვრება, გაცვლით ფორმით პრივატიზების ძირითადი პირობები, კერძოდ:

ა) გაცვლის ფორმით პრივატიზებას ექვემდებარება მხოლოდ ამ წესის დანართებით გათვალისწინებულ ცალკეული ტერიტორიის ფარგლებში არსებული მუნიციპალიტეტის და კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთები (მიწა);

ბ) კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (მიწა) გაცვლის ფორმით პრივატიზებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მიწა ან მისი ნაწილი, დედაქალაქის მიწათსარგებლობის რომელიმე გენერალური გეგმით ექვემდებარებოდა საცხოვრებელი დანიშნულებით სამშენებლო განვითარებას, ან თუ ეს მიწა ან მისი ნაწილი, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის არსებობამდე, გაცემული/განაწილებული იყო როგორც საკარმიდამო კატეგორიის მიწა. ამასთან, ეს მიწა ან მისი ნაწილი იძლევა/იძლეოდა შესაძლებლობას, რომ მასზე განთავსდეს/განთავსებულიყო არანაკლებ 60 მ2-მდე სართულების იატაკის ღონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე I კლასის შენობა;

გ) გაცვლის ფორმით პრივატიზებისას, მუნიციპალიტეტის უძრავი ნივთის (მიწა) და კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (მიწა) ფართობი უნდა იყოს ტოლი, გარდა ქვემოთ გათვალისწინებული შემთხვევისა;

დ) თუ კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (მიწა) მოიცავს ისეთ ტერიტორიასაც, რომელზეც არ არის შესაძლებელი განთავსდეს განსაზღვრული არანაკლებ 60 მ2-მდე სართულების იატაკის ღონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე I კლასის შენობა, დაინტერესებულ პირს გაცვლის ფორმით პრივატიზებისას, ამ

ტერიტორიის სანაცვლოდ გადაეცემა ამ ტერიტორიის ფართობის 1/3 ნაწილის ტოლი ფართი, მუნიციპალიტეტის უძრავი ნივთის (მიწა);

ე) გაცვლის ფორმით პრივატიზებისას მუნიციპალიტეტის და კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (მიწა) არ ექვემდებარება აუდიტორული (საექსპერტო) დასკვნით საბაზრო ღირებულების დადგენას;

ვ) გაცვლის ფორმით პრივატიზების შემთხვევაში, დაინტერესებულ პირისათვის გადაცემული უძრავი ნივთის (მიწა) ქონების გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს შესაბამისი სამშენებლოდ განვითარებისათვის;

ზ) გაცვლის ფორმით პრივატიზებისას, დაინტერესებული პირებისათვის გადასაცემი უძრავი ნივთები (მიწა) წესის დანართით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ისე უნდა იყოს განლაგებული რომ შესაძლებელი იყოს ამ ტერიტორიის სწორი დაგეგმვა-განვითარება, მათ შორის, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;

თ) გაცვლის ფორმით პრივატიზების შემთხვევაში, დაინტერესებულ პირისათვის გადაცემულ უძრავი ნივთზე (მიწა), არ ვრცელდება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით, მიწის ნაკვეთის ფართობისა და ზომებისათვის დადგენილი განაშენიანების რეგულირების პარამეტრები.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცეების შენარჩუნება-გაჯანსაღების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (მიწა) გაცვლის ფორმით პრივატიზების სპეციალური წესისა და სხვა რიგი ღონისძიებების დამტკიცების თაობაზე., საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.704) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში, პირველ სართულზე არსებული 40.00 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.704) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცა 1 პირს (ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ აღნიშნული პირი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2011 წლიდან.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.704) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010.01.021) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო/რაიონის კორპუს N2ბ-ში, მეორე სართულზე არსებული 13.03 კვ.მ ფართის ბინა N21-ი (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010.01.021) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს (ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ აღნიშნული პირი 1989 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე;

სერგო ბირკაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული პირი, განცხადებით თანხმობას აცხადებს N01.11.12.006.010 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობის ფაქტობრივი მდგომარეობის ან/და ავარიულობის ხარისხის მიუხედავად, აღნიშნულ შენობაში არსებული ფართის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუს N2b-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010.01.021) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ვაკის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, ყოფილი №620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლელებისთვის, საკუთრებაში გადაცემის საკითხთან დაკავშირებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის - ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე, მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. N01.14.16.008.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს იმ მიწის ნაკვეთს, რომელიც თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1987 წლის 13 აგვისტოს №20.47.512 გადაწყვეტილების მიხედვით, გამოყოფილი იყო №620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისათვის.

წარმოდგენილი პროექტით, განიხილება ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად გადაცემა განკარგულების დანართით წარმოდგენილი პირებისთვის.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.021) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის, კორპუს N3-ში, მე-7 სართულზე არსებული 85.28 კვ.მ ფართის ბინა N21-ი (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.021) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს (ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ აღნიშნული პირი ოჯახთან ერთად დაახლოებით 20 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.021) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ეგრისის II შესახვევი N12-ში (საკადასტრო კოდები: N01.72.14.008.147.01.501 და N01.72.14.008.147.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ეგრისის II შესახვევი N12-ში, პირველ სართულზე არსებული 35.41 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.72.14.008.147.01.501) და პირველ სართულზე არსებული 27.93 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.72.14.008.147.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს(ოჯახს), რომელიც შს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 1978 წლიდან; ამავე დროს მოქალაქე განცხადებით თანხმობას აცხადებს N01.72.14.008.147 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობის ფაქტობრივი მდგომარეობის ან/და ავარიულობის ხარისხის მიუხედავად აღნიშნულ შენობაში ფართის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ეგრისის II შესახვევი N12-ში (საკადასტრო კოდები: N01.72.14.008.147.01.501 და N01.72.14.008.147.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“,საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.004.01.1116) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N2ა-ში, მე-11 სართულზე არსებული 40.64 კვ.მ ფართის ბინა N1116 (საკადასტრო კოდი: 01.12.07.004.004.01.1116) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს (ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული ბმა-ს კრების ოქმით დასტურდება, რომ აღნიშნული პირი 20 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.004.01.1116) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქ. N3-3-ში მდებარე N55 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.055); ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N49 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.079.01.01.049) და ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N9გ-ში მდებარე N197 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.170.01.01.197) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-სა და N5დ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორია წარმოადგენს დაუსრულებელ მშენებლობას, რომელიც წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემაა ამ მშენებლობით დაინტერესებული პირებისთვის. ეს მშენებლობა ითვალისწინებდა გარკვეულ პირთა საცხოვრებელი დასაკმაყოფილებლად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენებას. მშენებლობის მწარმოებლად განისაზღვრა შპს „ამირანი“ (ს/ნ: 208153996), რომლის მიერ განსახორციელებელი სამშენებლო ღონისძიებები გაჩიანურდა. შემდგომ პერიოდში მიღებული, მუნიციპალური ორგანოების და სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, აღნიშნულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულებები, რომლებიც, ამ დაუსრულებელი ობიექტის ნაწილში ითვალისწინებდა მშენებლობის გაგრძელების და მისი დასრულების ვალდებულებას. კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულებები მოიშალა და მშენებარე ობიექტი დარჩა დაუსრულებელ მდგომარეობაში. დღეისათვის, ობიექტში რეგისტრირებულია როგორც ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული ფართები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის და შპს „ამირანის“ (ს/ნ: 208153996), საკუთრებად რეგისტრირებული ფართები.

მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა ინტერესების გათვალისწინებით, დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის შემთხვევაში სასურველი იქნებოდა აღნიშნული ობიექტის დასრულება, თუმცა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 8 ნოემბრის N16-0123312454 წერილობითი პოზიციის მიხედვით, ზემოაღნიშნული საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების მიმდებარედ არსებული ინტენსიური/მჭიდრო განაშენიანების გათვალისწინებით, ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება და მისი კიდევ უფრო გამჭიდროება არ არის მიზანშეწონილი. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ქალაქის განვითარების პროცესში პრიორიტეტულია მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული გარემოს არსებობა და უზრუნველყოფა. შესაბამისად, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ს მიმდებარე არსებული ინტენსიური მრავალბინიანი განაშენიანებისა და გადატვირთული საგზაო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, საპროექტო ტერიტორია შესაძლებელია ჩაითვალოს არაოპტიმალურ სამშენებლო ობიექტად.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობის ფარგლებში, იმ პირთა მიმართ, ვისთვისაც მისაღებია მათთვის შეთავაზებული ალტერნატიული ფართები, განიხილება სანაცვლოდ სხვა საცხოვრებელი უძრავი ქონების გადაცემის საკითხი.

მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემ ფართებად განიხილება კერძო სამშენებლო კომპანიების მიერ აშენებულ/მშენებარე ობიექტებში თბილისის მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირებული ფართები. ეს ფართები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში მიღებული აქვს სამშენებლო კომპანიებისგან.

ზემოხსენებული პრინციპის გათვალისწინებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 08.05.23წ. N003045023 დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში (ს/კ: N01.14.14.003.143) მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდინციით, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით.

თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მიმართეს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 105 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.02.014) თანამესაკუთრებმა - ქეთევან ჭანკვეტაძემ, გიორგი კალაძემ, ირაკლი კალაძემ და აღნიშნული ფართის სანაცვლოდ ითხოვეს ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N55 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.055); ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N49 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.079.01.01.049) და ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N197 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.170.01.01.197) თანასაკუთრებაში გადაცემა.

აღნიშნულ პირთა თანასაკუთრებაში არსებული ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.02.014) საბაზრო ღირებულება შეადგენს 409815 ლარს. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 10.06.23წ. N003971823 დასკვნით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების: N01.12.12.001.414.01.01.055; N01.17.07.024.079.01.01.049 და N01.17.12.003.170.01.01.197 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები, ჯამურად შეადგენს 405047 ლარს

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნული პირისთვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას და მის ფართზე მისი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქ. N3-3-ში მდებარე N55 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.055); ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N49 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.079.01.01.049) და ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N9გ-ში მდებარე N197 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.170.01.01.197) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2021 წლის 26 ნოემბერს გაცემული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-624-1-27208 ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) საფუძველზე, სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დაიდო „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულება“, რომლის საფუძველზეც, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, მ. თამარაშვილის ქუჩა №13-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7174 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.10.16.004.282 . აუქციონის შედეგების გათვალისწინებით, ქონების საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 2 635 944 ლარის ოდენობით.

ხელშეკრულებით მყიდველმა იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის: ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 2 წლის ვადაში (არაუგვიანეს 10.12.2023 წ.) ქონებაზე სპორტული კომპლექსის, მათ შორის, არანაკლებ 3 საჩოგბურთო კორტის (დია ან დახურული), საცურაო აუზის, ფიტნეს-დარბაზის, ასევე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დანიშნულებისა და სპორტულ კომპლექსთან დაკავშირებული სივრცეების მშენებლობა, ექსპლუატაციაში მიღება, მოწყობა, შესაბამისად აღჭურვა და ამ მიზნით, არანაკლებ 5 000 000 ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მყიდველის მიერ სააგენტოში წარდგენილია სს „თიბისი ბანკის“ მიერ 2022 წლის 24 ივნისს გაცემული 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ოდენობის საბანკო გარანტია, რომელიც მოქმედებს 2025 წლის 05 ნოემბრის ჩათვლით.

2023 წლის 10 ივლისს ხელშეკრულებაში შესული ცვლილებების გათვალისწინებით, მყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობისა და შესაბამისი ინვესტიციის განხორციელების ვადა 2023 წლის 10 დეკემბრიდან გაიზარდა 2025 წლის 01 ივლისამდე.

მყიდველმა ვადის გაზრდის მიზნით განმეორებით მიმართა სააგენტოს განცხადებებით და მოითხოვა საპრივატიზებო პირობის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობის) შესრულების ვადად განსაზღვრულიყო არაუგვიანეს 2026 წლის 01 ივნისი. ამასთან, განცხადებით მყიდველის მიერ წარმოდგენილია შპს „გრანტ თორნტონის“ (ს/ნ: 200136600) აუდიტორული დასკვნა (ანგარიში - სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მდგომარეობაზე), რომლითაც დასტურდება მყიდველის მიერ საინვესტიციო პირობის (პროექტის განხორციელების მიზნით არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება) შესრულება. აღნიშნული დასკვნის თანახმად, მყიდველის მიერ განხორციელებული ინვესტიციის ოდენობა შეადგენს 7 401 677 (შვიდი მილიონ ოთხას ერთი ათას ექვსას სამოცდაშვიდი) ლარს.

მშენებლობის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით, მყიდველი თავის მოთხოვნას ასაბუთებს სხვადასხვა გარემოებებზე დაყრდნობით:

ბახტრიონის ქუჩა №30-ის მიმდებარედ (წრიულზე) დაზიანდა საავტომობილო გზის ასფალტის საფარი და თამარაშვილის ქუჩა №13-ში №01.10.16.004.282 საკადასტრო კოდზე შეჩერდა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა, საექსპერტო დასკვნის წარდგენამდე, რომლითაც გამოირიცხებოდა სამშენებლო სამუშაოების უარყოფითი ზეგავლენა საკადასტრო კოდით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის სამხრეთ და დასავლეთ მხარეს (ბახტრიონისა და ასათიანის ქუჩები). მყიდველმა დაახლოებით 7 თვის მანძილზე ვერ აწარმოა სამშენებლო სამუშაოები.

დაუგვიანდა ნებართვა სამშენებლო ტერიტორიიდან IV კლასის გაზსადენის გატანასთან დაკავშირებით პროექტი არის საკმაოდ მასშტაბური, მოიცავს სხვადასხვა სირთულის საინჟინრო გადაწყვეტებს და სპეციალური მანქანა-დანადგარების ძირითადი ნაწილი არის ჩამოსატანი სხვადასხვა ქვეყნიდან, ხოლო ზოგიერთი მათგანი უნდა დამზადდეს სპეციალურად ზემოაღნიშნული შენობისთვის.

მშენებლობის მიმდინარეობისას, პერიოდულად კორექტირება პროექტი და თანხმდება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან, რაც მოითხოვს შესაბამის დამატებით ვადებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა განკარგულებაზე თანდართული რედაქციით. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, გაიზრდება სამშენებლო პროექტის განხორციელების ვადა 11 თვით (2026 წლის 01 ივნისამდე), აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ზრდად პირგასამტეხლოზე დამატებით, კომპანიას დაეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო 167 500 ლარის ოდენობით (პირგასამტეხლოს ის ოდენობა, რომელიც დაეკისრებოდა ვადის გაზრდის გარეშე). ამასთან ჩოგბურთის კორტების მშენებლობა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის შენობის ფასადის მოწყობა დასრულდება 2025 წლის 30 სექტემბრამდე, ხოლო შესაბამისი დასკვნა წარმოდგენილი იქნება 7 კალენდარულ დღეში. შეთანხმებით ასევე დადასტურდება მყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების შესრულება.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვნების ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ N01.14.14.005.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 404573323) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 28 მარტის №61.01230874 ბრძანებისა და თანდართული პირობების შესაბამისად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „7X7 ფეხბურთის ასოციაციის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის (სტადიონი) და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.301) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ფეხბურთის მოედნის ფუნქციონირებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით 2 წლის ვადით.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „7X7 ფეხბურთის ასოციაციის“ პრეზიდენტმა აკაკი ხლაბუსტოვმა მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურს და ითხოვა ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის (სტადიონი) და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით განმეორებით გადაეცა 10 (ათი) წლის ვადით, საინვესტიციო ვალდებულებების განხორციელების პირობებით. როგორც წერილშია აღნიშნული ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას 2030 წლის 31 დეკემბრამდე სხვადასხვა სამუშაოების წარმოებისთვის განახორციელოს ჯამურად 325 000 (სამას ოცდახუთი ათასი) ლარის ინვესტიცია.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წერილის თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ ა(აი)პ „7X7 ფეხბურთის ასოციაცია“ ხსენებულ მოედანზე წლების განმავლობაში ატარებს არაერთ მასშტაბურ პროექტს, რომელთა განხორციელებაც მომავალშიც იგეგმება, ქ. თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული მოედანი პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 10 წლის ვადით გადაეცეს ა(აი)პ „7X7 ფეხბურთის ასოციაციას“ გარკვეული ვალდებულებების შესრულების პირობით.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვნების ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, მე-IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა №1-ში, მეორე სართულზე არსებული 469.73 კვ.მ ფართიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.12.002.061.01.501) 170.56 კვ.მ ფართის და ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, მე-IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა №1-ში სხვენ სართულზე არსებული 338.09 კვ.მ ფართიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.12.002.061.01.502) 176.21 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-სთვის (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 21 ნოემბრის №61.01193255 და 2021 წლის 31 მაისის №61.01211513 ბრძანებებზე (მათში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) თანდართული პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული

პირგასამტეხლოსგან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-ს (ს/კ: 200160636) გათავისუფლების შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-ს (ს/კ: 200160636; პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ქონდა ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, მე-IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა N1-ში, მეორე სართულზე არსებული 469.73 კვ.მ ფართიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.061.01.501) 170.56 კვ.მ ფართი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით. კერძოდ, ფართის ხელშეკრულების თანახმად, ორგანიზაციას უნდა უზრუნველყო, არაუგვიანეს 2021 წლის 31 აგვისტოსი არანაკლებ 20 000 (ოცი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება, ამავე ქონებაზე სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით. ასევე ორგანიზაციას პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, მე-IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა N1-ში სხვენ სართულზე არსებული 181.13 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.061.01.502) ამავე ხელშეკრულებით („სხვენის ხელშეკრულება“) განსაზღვრული პირობით, კერძოდ არაუგვიანეს 2022 წლის 31 მარტისა, ორგანიზაციას უნდა უზრუნველყო არანაკლებ 15 000 (თხუთმეტი ათასი) ევროს ექვივალენტი ლარში ინვესტირება სარგებლობის უფლებით გადაცემულ ქონებაზე სარემონტო სამუშაოების განხორციელების პირობით.

ორგანიზაციის მიერ, განხორციელებულმა ინვესტიციამ ნაცვლად 15 000 (თხუთმეტი ათასი) ევროს ექვივალენტი ლარში, შეადგინა 12 607 (თორმეტი ათას ექვსას შვიდი) ევროს ექვივალენტი ლარში. შესაბამისად, სხვენის ხელშეკრულების 7.4 პუნქტის გათვალისწინებით, ორგანიზაციას დაეკისრა პირგასამტეხლო განსახორციელებელი ინვესტიციის (2 393 ევრო) 0,1%-ის (2,393 ევრო) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც სხვენის ხელშეკრულების ვადის გასვლით შეწყვეტის თარიღისათვის (27.11.2024 წ.) **ჯამში შეადგენს 2 326 ევროს.**

შპს „კონსაუდის“ დასკვნის მიხედვით №01.11.12.002.161.01.501 საკადასტრო ერთეულზე საინვესტიციო პირობა შესრულებული არ არის. შესაბამისად, ფართის ხელშეკრულების 7.4 პუნქტის გათვალისწინებით, ორგანიზაციას დაეკისრა პირგასამტეხლო განსახორციელებელი ინვესტიციის (20 000 ლარი) 0,1%-ის (20 ლარი) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც ფართის ხელშეკრულების ვადის გასვლით შეწყვეტის თარიღისათვის (27.11.2024 წ.) **ჯამში შეადგენს 23 680 ლარს.** ამავე დასკვნაში, ასევე აღნიშნულია, რომ ორგანიზაციის მიერ შემოხსენებულ ქონებაზე 2018 წელს, ჯერ კიდევ მაშინ როცა ქონებაზე თანხის ინვესტირება არ წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებას, განხორციელებულია 49 406,74 (ორმოცდაცხრა ათას ოთხას ექვსი ლარი და სამოცდათოთხეტი თეთრი) ლარის ინვესტიცია.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-ს გამგეობის თავჯდომარე წერილობით, ითხოვს ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი მასივი, მე-IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა N1-ში, მეორე სართულზე არსებული 469.73 კვ.მ ფართიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.061.01.501) 170.56 კვ.მ ფართის და ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი მასივი, მე-IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა N1-ში სხვენ სართულზე არსებული 338.09 კვ.მ ფართიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.061.01.502) 176.21 კვ.მ ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით განმეორებით გადაეცემა 3 (სამი) წლის ვადით, განსახორციელებელი საინვესტიციო ვალდებულებების განხორციელების პირობით. როგორც წერილშია აღნიშნული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-სთვის (ს/კ: 200160636) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემულ N01.11.12.002.061.01.501 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე განსახორციელებელი საინვესტიციო ვალდებულებების 20 000 (ოცი ათასი) ლარის სანაცვლოდ გარკვეული გარემოებების გამო განხორციელდა 49 40674 ლარის ინვესტიცია, ხოლო N01.11.12.002.061.01.502 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე განსახორციელებელი საინვესტიციო ვალდებულებების 15 000 (თხუთმეტი ათასი) ევროს სანაცვლოდ განხორციელდა 46 919 (ორმოცდაექვსი ათას ცხრაასცხრამეტი) ლარი, (რაც გამოიწვია ევროს კურსის ცვლილებამ ლართან მიმართებაში და ეროვნულ ვალუტაში გახარჯული თანხა არ დაემთხვა საინვესტიციო თანხის ოდენობას ევროში) განსახორციელებელი საინვესტიციო ვალდებულება შეადგენს 12 607 (თორმეტი ათას ექვსას შვიდი) ლარს, რაც შეადგენს 2400 (ორი ათას ოთხასი) ევროს. შემოადინებული გარემოებების გათვალისწინებით, ორგანიზაციის მიერ წერილით ასევე მოთხოვნილია შემოხსენებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.

აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობიდან გამომდინარე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი N01.11.12.002.061.01.501, N01.11.12.002.061.01.502 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართების მითითებული ორგანიზაციისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა,

3 (სამი) წლის ვადით და განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულებებით. კერძოდ, N01.11.12.002.061.01.501 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე 20 000 (ოცი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელების პირობით, ხოლო N01.11.12.002.061.01.502 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე არანაკლებ 7 163.52 (შვიდი ათას ას სამოცდასამი ლარი და ორმოცდათორმეტი თეთრი) ლარის ინვესტიციის განხორციელების პირობით (წინამდებარე განკარგულების გამოცემის დღისთვის (02.04.2025 წლის მდგომარეობით), 2 400 (ორი ათას ოთხასი) ევროს ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული ოფიციალური გაცვლითი კურსის (2,9848) შესაბამისად).

ასევე, არსებული ფაქტობრივ-სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინება, სააგენტოს 2019 წლის 21 ნოემბრის №ბ61.01193255 ბრძანებაზე (მასში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით) თანდართული პირობების 14.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის 7.4 პუნქტის შესაბამისად 2022 წლის 01 აპრილიდან 2024 წლის 27 ნოემბრის (ხელშეკრულების ვადის გასვლის თარიღი) ჩათვლით პერიოდზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან (ჯამში - 2 326 ევრო) და 2021 წლის 31 მაისის №ბ61.01211513 ბრძანებაზე (მასში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) თანდართული პირობების 14.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის ამავე პირობების 7.4 პუნქტის შესაბამისად, 2021 წლის 01 სექტემბრიდან 2024 წლის 27 ნოემბრის (ხელშეკრულების ვადის გასვლის თარიღი) ჩათვლით პერიოდზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან (ჯამში - 23 680 ლარი) ა(ა)იპ „ია“-ს (ს/კ: 200160636) გათავისუფლების საკითხი.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, მე-IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა №1-ში, მეორე სართულზე არსებული 469.73 კვ.მ ფართიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.12.002.061.01.501) 170.56 კვ.მ ფართის და ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, მე-IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა №1-ში სხვენ სართულზე არსებული 338.09 კვ.მ ფართიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.12.002.061.01.502) 176.21 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-სთვის (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 21 ნოემბრის №ბ61.01193255 და 2021 წლის 31 მაისის №ბ61.01211513 ბრძანებებზე (მათში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) თანდართული პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-ს (ს/კ: 200160636) გათავისუფლების შეთანხმების თაობაზე. საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 თებერვლის N24.256.291 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N43 განკარგულების საფუძველზე, სააგენტოსა და ქონების შემძენს შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმდა „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება.

ხელშეკრულების საფუძველზე, ქონების შემძენს გადაეცა ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა №21-ში მდებარე 2 402 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: N01.13.01.004.151), ხოლო სანაცვლოდ მუნიციპალიტეტმა მიიღო გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე (ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური საამქროს მიმდებარედ) არსებული 234 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: N01.15.03.004.084). ამასთან, ქონების შემძენის მიერ მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემული მიწის ნაკვეთის ღირებულება 225 846 ლარით აღემატება მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ქონების ღირებულებას.

ხელშეკრულების 4.3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი არ არის ვალდებული, ქონების შემძენს გადაუხადოს N01.13.01.004.151 და N01.15.03.004.084 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებების ფასთა შორის არსებული სხვაობა 225 846 (ორას ოცდახუთი ათას რვაას ორმოცდაექვსი) ლარის ოდენობით (შემდგომში: ფასთა შორის სხვაობა), ამასთან, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ითანამშრომლებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შესაბამისი უძრავი ქონების მოძიებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასთვის“ მისი

საკუთრების ან სარგებლობის უფლებით (შესაბამისი ფორმით) გადაცემის მიზნით, ფასთა შორის სხვაობის შესაბამისი ქონების საბაზრო საპრივატიზებო ან/და სარგებლობის საფასურის (შესაბამისად) ანგარიშში ჩათვლის პირობით.

მიუხედავად იმისა, რომ 2024 წლის 17 ოქტომბრის შეთანხმებით, ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული 6 (ექვსი) თვიანი ვადა ერთხელ უკვე გახანგრძლივებულ იქნა 12 (თორმეტი) თვემდე, ამ ეტაპზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. ამასთან, გრძელდება შესაბამისი მიწის ნაკვეთის მოძიების/შეთავაზების პროცესი. ვინაიდან, აღნიშნული პროცესის წარმატებით დასრულება წარმოადგენს არა მხოლოდ ქონების შემძენის, არამედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინტერესს, შესაბამისად, დღის წესრიგში დგას ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული 12 თვიანი ვადის გაზრდის საკითხი.

სააგენტოში წარდგენილი 2024 წლის 01 ოქტომბრის 2025 წლის 24 მარტის განცხადებით ქონების შემძენი ითხოვს ხელშეკრულების 4.3 პუნქტით განსაზღვრული ვადის 18 თვემდე გაზრდას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 8 აპრილის N25.587.667 განკარგულების გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტით თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმებას.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ფონიჭალაში, დოდობერიძის ქუჩის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5044 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.13.022.037) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, 2024 წლის 15 მაისს შპს „კ სამი“-ს დირექტორმა განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა კომპანიის საკუთრებაში, ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლებაში, III მ/რ, კორპ N15-ის მიმდებარედ არსებული 1412 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.13.005.099) გაცვლის ფორმით პრივატიზება. აღნიშნული N01.11.13.005.099 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა ეწინააღმდეგება მშენებლობას და მათი მოთხოვნაა შენარჩუნდეს ტერიტორიაზე არსებული რეკრეაცია. აღნიშნული მიზეზით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ვერ უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის -სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2023 წლის 11 ივლისის ბრძანებით დადგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობებით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. ადგილმონაცვლეობის მიზნებისთვის, კომპანიის მიერ 2024 წლის 7 აგვისტოს განცხადებით, N01.11.13.005.099 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, მოთხოვნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.18.13.022.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება. მიწის ნაკვეთებს შორის სხვაობა არის 277 840 ლარი რომლის გადახდაზეც თანახმაა კომპანია.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ფონიჭალაში, დოდობერიძის ქუჩის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5044 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.13.022.037) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას (ს/ნ: 204395537) საკუთრებაში გადაეცემა ვაკის რაიონის გამგეობის ტერიტორიაზე დასაწყობებული 35 ტონა მოძრავი ქონება - შავი ლითონის ჯართი (რკინის მასალები) სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, აღნიშნული მოძრავი ქონების გამოყენება განხორციელდება ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ქეთევან წამებულის ქუჩა N8-ის (ს/კ: 01.20.01.031.031) მიმდებარედ, მშენებარე დედათა მონასტრის შემოღობვისა და ქალაქ თბილისში, მინდელის ქ. N7-ში მდებარე წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის ტაძრისა და დამხმარე ნაგებობების შემოღობვისთვის.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში, რკინიგზის სადგური „ველის“ მიმდებარედ არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.31.004.098) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში, რკინიგზის სადგური „ველის“ მიმდებარედ არსებული N01.19.31.004.098 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცემა, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შესაძლებლად მიიჩნიეს მითითებული მიწის ნაკვეთის განკარგვა, შემდგომში ეკლესიის მშენებლობისა და ფუნქციონირების მიზნით.

ამასთან, სააგენტოში წარმოდგენილი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2025 წლის 19 მარტის წერილობითი რეკომენდაციით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში, რკინიგზის სადგური „ველის“ მიმდებარედ არსებული N01.19.31.004.098 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაეცემა, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

წარმოდგენილი პროექტით განიხილება N01.19.31.004.098 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის საკითხი.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში, რკინიგზის სადგური „ველის“ მიმდებარედ არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.31.004.098) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ელვერ კუპატაძის I გასასვლელი N5-ში არსებული 1468 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.030.012) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ლაშოს ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული N01.11.04.030.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილი (1468 კვ.მ მიწის ნაკვეთი) გადაეცემა

საკუთრებაში საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შესაძლებლად მიიჩნია მითითებული მიწის ნაკვეთის განკარგვა, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

სააგენტოში წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2025 წლის 19 მარტის N1/83 რეკომენდაციის შესაბამისად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისში, ლაზოს ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული N01.11.04.030.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილის (1468 კვ.მ მიწის ნაკვეთი) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

სააგენტოს მიმართვის შემდგომ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა N01.11.04.030.003 საკადასტრო ერთეულის ორ საკადასტრო ერთეულად დაყოფა (გამიჯვნა), ხოლო წარმოდგენილი პროექტით განიხილება გამიჯვნის შედეგად წარმოქმნილი, N01.11.04.030.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის საკითხი.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ელვერ კუპატაძის I გასასვლელი N5-ში არსებული 1468 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.030.012) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას (ს/ნ:204395537) საკუთრებაში გადაეცემა სამგორის რაიონის ტერიტორიაზე არსებული რეაბილიტირებული სპორტული მოედნიდან წინამდებარე მთავრობის განკარგულების პროექტის დანართი 1-ით გათვალისწინებული მოძრავი ქონება.

აღნიშნული მოძრავი ქონების გამოყენება განხორციელდება, სამგორის რაიონში, ორხევში მდებარე, მშენებარე მთავარანგელოზთა სახელობის მამათა მონასტრის (ს/კ: 81.08.20.468 და ს/კ: 01.81.08.416.001) შემოღობვისთვის. შპს „ექსპერტ-აუდიტის“ (ს/ნ 406109465) აუდიტორული დასკვნის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადასაცემი მოძრავი ქონების ღირებულება შეადგენს 25 200 (ოცდახუთი ათას ორასი) ლარს.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.032.024) 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით დავით ბერულავასთვის (პ/ნ 01024022429) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.032.024) 5 კვ.მ მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცემა დავით

ბერულავასთვის ღია კაფეს მოსაწყობად, სამი წლის ვადით. აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N14-ში მდებარე ფართი (საკადასტრო კოდი: 01.16.05.033.001.01.500).

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილია ქ. თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 5 კვმ მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის საკითხს.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი წერილის თანახმად, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, აღნიშნული ობიექტის განთავსების (მხოლოდ მსუბუქი მაგიდა და სკამების განთავსებით, ყოველგვარი შემომშლუდავი ელემენტების გარეშე) წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე; ხოლო, ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცის მიღმა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის აღნიშნული პირისთვის იჯარით გადაცემას, 3 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1200 ლარის ოდენობით.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.032.024) 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით დავით ბერულავასთვის (3/6 01024022429) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა N2-ში არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.032) პირდაპირი განკარგვის წესით, მურატ მიგინეიშვილისთვის (3/6: 01024070013) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა N2-ში არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.032) იჯარით გადაცემა მურატ მიგინეიშვილს, კიბის ფუნქციონირების მიზნით. აღსანიშნავია, რომ მურატ მიგინეიშვილს ქ. თბილისის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 13 მაისის N01-4/185 ბრძანების საფუძველზე, მითითებული უძრავი ქონება გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, 2024 წლის 29 სექტემბრამდე ვადით, მის საკუთრებაში არსებულ ფართში (ს/კ:01.10.13.012.006.01.004ა) შესასვლელი კიბის ფუნქციონირების მიზნით. ამასთან, მოცემულ მიწის ნაკვეთზე, დღევანდელი მდგომარეობით მოწყობილია განმცხადებლის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბე. განმცხადებელმა წერილით თანხმობა განაცხადა წლიური საიჯარო ქირის 288 (ორას ოთხმოცდარვა) ლარის გადახდაზე და გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების სარგებლობის ვადის გასვლის დღიდან ახალი იჯარის ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდისთვის იჯარის საგნით ფაქტობრივად სარგებლობის საფასურის გადახდაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის მოთხოვნილი 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის წინააღმდეგი. აღნიშნული მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა შესაძლებლად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმაც.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 (ხუთი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 288 (ორას ოთხმოცდარვა) ლარის ოდენობით.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა N2-ში არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.032) პირდაპირი განკარგვის წესით, მურატ მიგინეიშვილისთვის (3/6: 01024070013) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე**



ლევან არველაძე